სახალხო გაზეთი

№ 1019 ხუთშაბათი, 17 ოქტომბერი 1913 წ. № 1019

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.

ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

2935

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ოქტომბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **2 მ. 25 კ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

პელაგია სიმონის ასული ავალიანისა შვილებით: კონსტანტინე, ნინო, გრიგოლი, სოფიო და თამარით, ვიქტორ იესეს ძე და გუგული ავალიანები, მარიამ ივანეს ასული კანდელაკისა და მელქისედეკ სპირიდონის ძე კანდელაკი, ლიზა ნიკოლოზის ასული გრიგოლიასი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველნი—უსაყვარლესი შვილისა და ძმისა, მეორენი—დაუვიწყარი ძმისწულის, მესამენი—ძმის და ცოლის ძმისა, ხოლო უკანასკნელი—ბიძაშვილის, სტუდენტი

ალექსანდრე (საშა) მინას ძის ავალიანისას.

ცხედრის გასვენება ტფილისის სადგურზე დანიშნულია 17 ოქტომბერს, საღამოს მატარებლით, გამოსვენება საკუთარ სახლიდან, (არქიელის გორა), 20 ოქტომბერს, კვირას, დილის 10 საათზე. დასაფლავება სოფელ ოფურჩხეთში. 717

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 10—6.

ხუთშაბათს, 17 ოქტომბერს, ქართ. დრამ. საზოგად. დასის მიერ **ნ. ჩხეიძის** ასულის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

და ბეატრისა,

მეტერლინკისა, სასწაული 3 მოქმედ. თარგმანი არ. ავალიშვილისა.

პიესაში მონაწილეობას მიიღებს მომღერალთა გუნდი და ახალი კლუბის ოკესტრი **ბ. პრესმანის** ლოტბარობით.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: ასათიანისა, თოიძისა, მდივანისა, პიერეტა, საღარაძე, ქიქოძისა, შოთაძისა და ჩხეიძის ასულნი. ბ-ნნი: არადელი-იმნაძე, ბარველი, გომელაური, თარალაშვილი, იმედაშვილი, სარაული, ურუშაძე, ხონელი.

დასაწყ. სალ. 8 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **მ. ქორელი.** ადმინისტ. ქართ. დრამატ. საზოგად.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენ. ოიდიპოს მეფე, კულტურული მკვლელობა, მორევში და სხვ. 1533

კ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

ორშაბათს, 21 ოქტომ., 1913 წ. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ, წრის ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მსახიობთ **ქ. ნინო ჩხეიძის ასულის და ბ. ალ. იმედაშვილის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება პირველად დრამა

ტაიფუნი

4 მოქ. მ. ლენგიელისა, თარგ. ალ. ანდრონიკაშვილისა.

მონაწილეობს წრის ყველა სცენის მოყვარე.

დასაწყისი სალ. 8½ ს. ✦ ადგილების ფასი 5 კ.—50 კ.

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშემწე **ნ. ჭანკვეტაძე.** წრის ადმინისტრაცია.

ფარდ. ახდის შემდეგ თეატ. დარბაზში შესვლა აკრძალულია. 1486

---

20 ოქტომბრიდან კვლავ გაჩნდება ტფილისში ყოველდღიური ქართული სახალხო გაზეთი

„ახალი აზრი“

იმავე პროგრამით—როგორც ყოველდღიური დიდი გაზეთები. **გაზეთის ფასი**—ერთის წლით 4 მან., ნახევარ წლ.—2 მ. 3 თვით—1 მ. 25 კ., ერთის თვით—45 კაპ. ცალკე **№ ნომერი ყველგან 2 კაპ.** განცხადებათა ფასი—ხელმისაწდომია—1 გვერდზე—10 კ. სტრიქონი პეტიტისა, მეოთხე გვერდზე—5 კ., შრომის მაძიებელთათვის თითო განცხადება—20 კაპ., სამგლოვიარო განცხადება—2 მანეთი.

ადრესი: Тифлисъ, Габаевскiй пер. № 1, типографiя А. Кереселидзе, для „Аахали азри“. რედაქტორ-გამომცემელი **თ. კეკელიძე.** 1520

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქვენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი ზ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი ზ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოვი ვ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1466

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების

გამგეობა

სთხოვს საზოგადოების წევრთ, კეთილ ინებონ და მობრძანდნენ კანცელარიაში და მიიღონ **დაბეჭდილი ანგარიში 1912 წლისა.** 1539

„ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ

ორშაბათს, 21 ოქტომბერს, დანიშნულია კლუბის წევრთა

საგანგებო საზოგადო კრება,

რომელზედაც განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: 1) მოხსენება შენობის შესაკეთებლად საჭირო მცირე თანხის გადადების შესახებ და 2) მიმდინარე საქმეები. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. 1499

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუროვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 17 ოქტომბერს, 1913 წ. გაიმართება

დიდი წარმოდგენა

უკანასკნელი დღე გასტროლისა საქვეყნოდ ცნობილის, ველოსიპედზე შეუდარებელის მოსიარულისა, ვირტუოზის **ჩესტერ დიკისა,** რომელიც შეასრულებს იშვიათსა და გონებისათვის მიუწვდომელ ნომრებს. სანახაობათა სანახაობა! უდიდესი ატრაქციონი! ხელოვნების უკანასკნელი სიტყვა! ყველგან ფურორი! სენსაცია! აღტაცება! ტაშის-ცემა! ითხ და ექვს საჯდომიან ველოსიპედზე „ტანდემ“-ზე ვარჯიში. ჩესტერ დიკი საზოგადოებას აღტაცებაში მოიყვანს! დასასრულ „საბედისწერო გადახტომა“—სალტო-მორტალე ველოსიპედით, ცირკის თაღში განავარდება დატვირთულ ეტლზე წინ, ოვში აკვარიუმის ბადში ჩესტერ დიკის გასტროლებს დიდძალი ხალხი ესწრებოდა. დირექცია სთხოვს პატივცემულ ტფილისის საზოგადოებას, რომლის ყურადღება დაიმსახურა, რაც ცირკში მოსიარულე ხალხის რიცხვი აშკარაა, დარწმუნდეს ფენომენალურ ხელოვნების სინამდვილეში! ამ საღამოსვე მონაწილეობას მიიღებს ყველა პირველ-ხარისხოვანი არტისტები. გამოსვლა გამოჩენილი გიმნასტის და მოჯირითე ლამაზ ქალის M-le **ნაცისა.** დაწვრილებით აფიშებში, დღესთვის კონტრამარკები არ გამოდგება. გამოსვლა ჩესტერ დიკისა მე-3 განყოფილებაში, დასაწყისი 10 საათზე.

დასაწყ. საღამ. 8 საათზე. დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.**

ანონსი: ხვალ გაიმართება გამოჩენილ ფალავანთა ფრანგული, კავკასიური და თავისუფალი ამერიკული ჭიდაობა. 700

ქ-ნი პორტუგალოვისა

აცხადებს, რომ

საფეიქრო მაღაზიაში, რომელიც ნიკოლოზის ხიდთან № 23—24 არის,

ზამთრის საქონლის მოახლოვებისა გამო დანიშნულია

დიდი ვაჭრობა

მამაკაცთა, ქალებისა და ბავშვების ტანისამოსისა.

30 პროც. დააკლდება ფაბრიკის ფასს.

ვიმედოვნებ, ვინც ჩვენს მაღაზიაში იყიდის, კმაყოფილი დარჩება. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ ბევრი ახალი მოვიდა ახალ-ახალი საქონელი **რომელიც ძვირად არ იყიდება.**

1491 პატივისცემით **ქ-ნი პორტუგალოვისა.**

საბავშვო ბაღი

ანასტასია გედევანიშვილისა

ამით აცხადებს, რომ სწავლა დაიწყო. ბავშვების მიღება ყოველ დღე. ბაღთან გაიხსნა მოსამზადებელი განყოფილებაც. 1518

დაიბეჭდა და იყიდება

მოსწავლეთათვის საჭირო წიგნი

მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნებისა

მრავალი სურათით. შედგენილი ალექსი ჭიჭინაძის მიერ. ფასი 35 კაპ.

(დაეთმობათ ნაკლებად ვინც ათზე მეტს იყიდის)

იყიდება ტფილისში მ ხ ო ლ ო დ ჯეჯილის რედაქციაში.

(არტილერიის ქუჩა). 1503

შრომა და ნაწარმოები

დ. ი. არაყიშვილისა:

ქართული სიმღერების კრებული სკოლებისთვის, ქართული მუსიკის წიგნები, ქართული სიმღერები ფ. პ. დასამღერებლად, რომანსები და სახორო სასიმღეროები რუსულსა და ქართულ ენაზე იყიდება ყველა წიგნისა და მუსიკის მაღაზიაში. 356

ტფილისის საპოლიტექნიკო კურსები

ინჟენერ მ. ნ. ვინოგრადოვისა.

განყოფილებანი: სამიწად-მზომელო, საამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და კომერციული. სამიწად-მზომელო და საამშენებლო განყოფილებებზე ასწავლიან ქართულად. **მეცადინეობა 7 ოქტომბერს** დაიწყო. მოწაფეების მიღება გრძელდება. კურსებზე იღებენ საშუალო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ გამოუცდელად, დანარჩენებს კი გამოცდით. კურსები იმყოფება სასულიერო სემინარიის ძველს შენობაში. 712

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

გ. მეჯრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვარებური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშუქება.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. საწყლებს უფასოდ.

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ № 20, ტელეფ. 791. 1468

ექიმი ივ. გომართელი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილის 8—12 საათ. სალ. 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 20. ტელ. 633. 654

მოსწიეთ ახალი

პაპიროსები

რიცა

ამხ.

„კომეტა“

ტფილისი

20 ცალი 6 კაპ 10 ც. 3 კაპ. 1497

საბურთალოზე

მშვენიერ ადგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბ ვშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

ბელანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

შამაში. სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

გრიგორიანი. ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ—11 ნ ხ. საათ.

ასპისოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად ყ.-დღე 1—3 ს.

რუდენკო შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ატენიანცი. ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

ი. ბ. ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

ბაგდოევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძების მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserman“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

მ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით 1462

ექიმი ე. ი. მინასიანცი

იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) პლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი ი. ზ. ბძელიშვილი

სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 სათ. 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 688

ექიმი გ. მ. ღოღობერიძე

ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დღისით 1—3 საათამდე. საბებიო და ქალის ავადმყოფობანი. სლეპცოვის შესახვევი № 3. 1524

ექიმი კბილისა პ. მ. მუმულია-კუხალაიშვილი

იღებს დილით 9—2 საათამდე, საღამოს 4—7 ს. ანდრეევის ქუჩა № 81, ვაგზლის ახლო. 697

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი პ. ლ. ქიქალიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ექიმი შ. ა. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

სახელმწიფო სათათბირო

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო.
16 ოქტომბერი.

სათათბიროს გახსნა.

ეკატერინეს დარბაზში სათათბიროს სესიის გახსნის წინ ეპისკოპოსმა ანატოლემ სათათბიროს სამღვდელოების თანადასწრებით პარაკლისი გადაიხადა, რომელსაც სათათბიროს თავმჯდომარე, თავმჯდომარის ამხანაგები, ბევრი დეპუტატი და აუარებელი ხალხი დაესწრო. პარაკლისი მეფის მრავალჟამიერით, ეროვნული ჰიმნის სიმღერით და „ურას" ძახილით დასრულდა.

თავმჯდომარის ადგილს იჭერენ თავმჯდომარე და მისი ამხანაგი. თავმჯდომარე სათათბიროს სიტყვით მიმართავს, ულოცავს სესიის დაწყებას და უსურვებს ნაყოფიერსა და მშვიდობიან მუშაობას. საერთო კრებების დღეები დაინიშნა. დღითი კრებები—სამშაბათს და პარასკევს მოხდება, საღამოთი—ოთხშაბათს, სპეციალურად შეკითხვებისათვის.

თავმჯდომარის ადგილს **თავ. ვოლკონსკი** იჭერს. უკამათოდ იღებენ კანონ-პროექტს ნაფიც მსაჯულთათვის ხაზინიდან საგზაო და დღიური ხარჯის მიცემის თაობაზე. კანონ-პროექტის ძალით, ნაფიცი მსაჯული, რომელიც სასამართლოსგან მოშორებით ცხოვრობს დღიურად საგზაოდ მიიღებს 50, 75 კ. და 1 მანეთს, მანძილის მიხედვით. მანძილს განსაზღვრავს იუსტიციის სამინისტრო ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით. თუ ნაფიცი მსაჯული სასამართლოდან 25 ვერსის მანძილზე სცხოვრობს, მაშინ მიეცემა საგზაო თითო ვერსზე 3 კაპეიკი.

შახოვსკი მოახსენებს სათათბიროს კანონ-პროექტს მოსკოვისა და პეტერბურგის გამსესხებელი კასების ლომბარდად გადაკეთების თაობაზე. მიიღებენ ფინანსთა მინისტრის ამხანაგის პოკროვსკის შესწორებას, რომელიც ამ დაწესებულებებში მოსამსახურეთა პირობების გაუმჯობესებას შეეხება. უკუაგდეს კ. დ. შჩეპკინის შესწორება, ლომბარდებისათვის გაცემული სესხი ხარჯთ-აღრიცხვაში იქნეს შეტანილი, რათა სათათბიროს შეძლება ექნეს კონტროლი გაუწიოს სახაზინო ლომბარდის მოქმედებასო. მინისტრის ამხანაგი პოკროვსკი წინააღმდეგი გაუხდა ამ შესწორებას: შესწორების მიღება ლომბარდების საკომერციო ოპერაციებს შეასუსტებსო.

გრაფი კაპნისტი მეორე მოახსენებს ტელეფონების გავრცელების კანონ-პროექტს, რომელიც სამს კომისიაში იყო და ძირიანად შეიცვალა. კომისიებს აღუნიშნავს: რუსეთში ტელეფონების სიმცირე მთავრობის უხეირო სატელეფონო პოლიტიკის ბრალიაო, რადგან ამ პოლიტიკას უწყებრივი ფისკალური ხასიათი აქვსო. კომისიის აზრით, სატელეფონო პოლიტიკა მარტო ტელეფონის გავრცელებით უნდა იყვეს დაინტერესებული და ამიტომაც სავსებით გადააკეთა მთავრობის მიერ წარდგენილი კანონ-პროექტი. სახელმწიფო და საზოგადოების ინტერესების შესათანხმებლად კომისიამ საჭიროდ სცნო სახელმწიფოს ხელში დარჩეს მხოლოდ საერთაშორისო ტელეფონები, ხოლო გუბერნიისა და მაზრისა კი ადგილობრივ თვითმართველობებს გადაეცესო. კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვის დროს **ნეკლიუდოვი** და **ლაშკევიჩი** მესამე მუხლის გამოტოვებას მოითხოვენ, რადგან მესამე მუხლით ფასი დადებულია ყველა დაწესებულებისათვის სასარგებლო ტელეფონებზე. ამით კი ტელეფონით უფასოდ სარგებლობა უარ-ყოფილია. ფოსტისა და ტელეგრაფის მთავარი მმართველი მესამე მუხლის დატოვებას მოითხოვს. მუხლს ერთხმად გამოსტოვებენ. კანონ-პროექტის განხილვა შესწყდება.

თავმჯდომარის ადგილს **როძიანკო** იჭერს. გამოაცხადეს კადეტების სწრაფი შეკითხვა ბეჭდვითი სიტყვის დევნის თაობაზე და კერძოდ ბეილისის საქმის გამო.

მილიუკოვი მხარს უჭერს სწრაფს შეკითხვას და აღნიშნავს: წრევანდელმა წელიწადმა რეპრესიების მხრით ყველა წელს გადააჭარბა. გაზეთებში მომუშავეებმა არ იციან, თუ რისთვის სჯიან მათ. კერძოდ, ბეილისის საქმის დროს, როდესაც პრესა სასამართლოს გზით ვერ დაადუმეს, ცენზურა ცდილობს ეს საქმე რეპრესიებით მიჩქმალოს, მაგრამ პრესა თავის მოვალეობას ასრულებს, რადაც არ უნდა დაუჯდეს ეს. როდესაც საქმე ასეა, აშკარაა, რომ მთავრობამ მიუდგომლობის უნარი დაჰკარგა. მთავრობა უბრალო იარაღად გადაიქცა იმ მანქანისა, რომელმაც ბეილისის პროცესი შეჰქმნა. მილიუკოვი დარწმუნებულია, რომ ხალხის წარმომადგენლები ვალდებულნი არიან ხმა აიმაღლონ იმ საქმის თაობაზე, მთელ რუსეთს რომ აღელვებს და რომელიც სრულებით ვერ ირკვევა კიევის ოლქის სასამართლოს მიერ. ორატორი მიმართავს სათათბიროს, თავისი დამოკიდებულება აღნიშნოს ამ ბნელ საქმისადმი, რომელიც მთელს რუსეთს ჩირქსა სცხებს. თავმჯდომარე მილიუკოვ'ს შეაჩერებს (ტაში ცენტრში და მარჯვნივ. თავმჯდომარე მილიუკოვს წესიერებისადმი მოუწოდებს. მილიუკოვი განაგრძობს): საჭიროა აღინიშნოს, თუ საით უხვევს ის ქსელი, რომლის ძალითაც ახალგაზრდა სტუდენტი სათათბიროს წევრს პროცესში მონაწილეობის მისაღებად იწვევსო.

თავმჯდომარე სთხოვს ორატორს, ნუ შეეხება ამ საქმეს, რადგან სასამართლოს თავისი სიტყვა არ უთქვამს და სიტყვის წართმევას ემუქრება. მილიუკოვი ამბობს: ყველანი ცნობის მოყვარეობით უცქერიან, თუ როგორი მეგობრული კავშირია ღამის ქურდებსა და სათათბიროს წევრს ზამისლოვსკის შორის. (ძლიერი ხმაურობა და პროტესტები მარჯვნივ. თავმჯდომარე მილიუკოვს მოუწოდებს წესიერებისადმი. მილიუკოვი აცხადებს): ჩვენ არ გვსურს პასუხისმგებლობა ვიკისროთ ამ პროცესის გამო მხოლოდ მოვითხოვთ, რათა ნება და აზრი რუსეთისა, განათლებულ ნაწილის აზრი იყვეს და მასის ინტერესებს ემსახურებოდეს და არა იმ ნაწილისა, რომელსაც თავის დასაცავად სხვა გზა არა აქვს, თუ არა საზოგადოების ნაძირალების დახმარება. (ტაში მარცხნივ)

პურიშკევიჩი აცხადებს: პატიოსანი სახელი ზამისლოვ'სკისა ებრაელების მიერ გაძლარ შაშვების ინსინუაციისაგან შორს არის. (ძლიერი ტაში მარჯვნივ) ორატორი ამბობ': შეკითხვის ავტორებს სასამართლოს საქმეში ჩარევა და სათათბიროს უფლებას სასამართლოდ გადაქცევა სურთო. პირველ დღეს სათათბირო მიტინგად გადაიქცა. შეუძლებელია ხელი დავაფაროთ ებრაელებს, რომელნიც მკვლელობის კვალს, რაც მთელს რუსეთსა და ევროპას აინტერესებს, ხელს აფარებენ. ებრაელებმა ყოველივე ღონისძიება მოიხმარეს, რათა საზოგადოებრივი აზრი თავიანთ მხარეს გადაებირებიათ, არ დაერიდნენ არც მოსყიდვას, არც მოწამვლასო. თავმჯდომარე სთხოვს ორატორს, ნუ შეეხება ჯერ კიდევ დაუსრულებელ პროცესს. პურიშკევიჩი: ყოველი ღონე იღონეს, რათა მემარჯვენეთა მხრით უწეს-რიგობა გამოეწვიათ. მემარჯვენენი სდუმან და სასამართლოს განაჩენს ელოდებიან. რუსეთი საფრანგეთი არ არის. სათათბიროს ტრიბუნად ვერ გამოიყენებენ, როგორც ეს დრეიფუსის საქმის დროს იყო. თუ სათათბიროს მიტინგის ადგილად გადააქცევენ, სათათბირო დათხოვნილ უნდა იქნეს. ასეთი შეკითხვებით სათათბიროს სახელი გაუტყდება მთავრობისა და ხალხის თვალში. რასა სჩივის პრესა ბეილისის საქმეში? ეგებ სტენოგრამის გამახინჯებას და ფაქტების შეცვლას სჩივიან? დასასრულ პურიშკევიჩი ოქტომბრისტებს ურჩევს: ურიებისაგან მოსყიდულ პრესას ნუ აჰყვებიან და საკუთარ სინდისს ნუ გადაუდგებიან. ორატორი მხარს უჭერს შეკითხვის სისწრაფეს: დე, მთელმა რუსეთმა მემარცხენეების გამოწვევის პასუხი გაიგოს. ჩვენ არ გვსურს სასამართლოზე გავლენა მოვახდინოთ, რაც სათათბიროს უფლებას არ შეადგენს, და იქ მჯდომარე უბრალო მსაჯულებს ღვთისა და სინდისის წინააღმდეგ გადავაწყვეტინოთ რამეო.

გრაფი ბენიგსენი აღნიშნავს, რომ შეკითხვის დასკვნა სრულებით არ შეეხება ბეილისის საქმეს, ხოლო რამდენიმე დრო-გამოშვებითი გამოცემების უფლების დარღვევას აღნიშნავსო. ოქტომბრისტები სისწრაფეს მხარს დაუჭერენ, მაგრამ სრულებითაც არა სურთ შეკითხვის საზღვრებს გადასცდნენ. ოქტომბრისტებს შეუძლებლად მიაჩნიათ სათათბიროს სასამართლოდ გადაქცევა. დე, სასამართლომ ყოველივე გავლენის გარეშე თავისი საქმე აკეთოს (ტაში ცენტრსა და მარჯვნივ) ოქტომბრისტები პატივსა სცემენ და მოსწონთ რუსული სამართალი, გულდამშვიდებით მოელიან კიევის სასამართლოს განაჩენს და სწამთ კიდევაც, რომ ჭრელი შემადგენლობა მოსამართლეებისა, რაც ბევრს ძლიერ აშინებს, სამართლიან განაჩენს დაადგენსო. ოქტომბრისტები მხარს უჭერენ შეკითხვის სისწრაფეს და მოითხოვენ, რათა სათათბირო არ გადაიქციონ ბეილისის საქმის თაობაზე საჯიბითო მოედნად. სასამართლოს პატივისცემა შეჰფერის, რადგან ვერც ერთი განათლებული სახელმწიფო უიმისოდ ვერ იარსებებსო.

ხმის დიდი უმრავლესობით შეკითხვის სისწრაფე აღიარებულ იქნა. შეკითხვა 149 ხმით მიიღეს ნაციონალისტებისა და მემარჯვენების 109 ხმის წინააღმდეგ.

შემდეგი სხდომა პარასკევს დილის 11 საათზე.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ტფ. გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლმა თ. კ. აფხაზმა** თავისი მისალოცი დეპეშის საპასუხოდ სრულიად სომხეთა კათალიკოსის გეორქისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: მიიღეთ ჩემი მადლობა იმ თანაგრძნობისა და კეთილი სურვილისათვის, რომელიც იუბილეს გამო გამომიცხადეთ. გლოცავთ თქვენ და ტფ. გუბერნიის თავ-აზნაურობას. სრულიად სომხეთა კათალიკოსი გეორქი".

✦ კავკავში, კვირას 20 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, ქართული სკოლის დარბაზში დანიშნულია ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების კავკავის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება. განსახილველი კითხვები: 1911 და 1912 წ. შემოსავალ-გასავლის ანგარიში. სკოლის 1911—1912—1913 წ-ბის სწავლა-აღზრდის ანგარიში. გამგეობის წევრთა რიცხვის შემცირება 11-ე და ამქრების წარმომადგენელთა დამტკიცება, სხვა და სხვა სექციის არჩევა გამგეობასთან. გამგეობისა და სკოლის ინსტრუქციის დამტკიცება. სკოლის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. სკოლის 25 წლის იუბილეს დღესასწაულის შესახებ. გამგეობის თავმჯდომარისა, გამგეობის წევრთა და სარევიზიო კომისიის არჩევა.

✦ კვირას, 13 ოქტომბერს, დამსახურებულ მსახიობ ვლ. ალექსი მესხიშვილის 30 წლის სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად დაარსებულმა **„მომღერალ მგალობელთა საიუბილეო გუნდმა"** თავის უკანასკნელ კრებაზე აირჩია დროებითი გამგეობა, რომელშიაც შედიან: გ. ბერძნიშვილი, გ. მეფარიშვილი და გ. გერონტიევი. თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ბ. ზ. ჩხიკვაძე. ლოტბარად—მასწავლებელი ი. ზ. ხარტიშვილი. ამ ახლო ხანში გუნდი გამართავს „საკონცერტო დილას" ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში ბ-ნ ვლ. ალექსი-მესხიშვილის თანადასწრებით, რომელზედაც შესრულებული იქნება ცნობილ ქართველ მუსიკოსთა ნაწარმოებნი; მათ შორის ნ. სულხანიშვილის მიერ საგანგებოდ დაწერილი: „მილოცვა ლადოსადმი".

✦ **პოლიტეხნიკუმი.** დღეისთვის დანიშნულია პოლიტეხნიკუმისათვის შეწირულებათა შემკრებ კომისიისა და ქალაქის გამგეობის შეერთებული კრება. კრებამ უნდა შეიმუშაოს მოწოდება, რომლითაც კერძო პირთ მიჰმართავს და პოლიტეხნიკუმისათვის ფულის გადადებასა სთხოვს.

✦ **ფრინველთა გამოფენა** წელს დაიწყება 20 ოქტომბერს საარტისტო საზოგადოების საზაფხულო შენობაში.

✦ **კახეთის რკინის გზა.** ნოემბრის პირველ რიცხვებში ნავთლუღის სადგურიდან რკინის გზის ლიანდაგის დაგებას შეუდგებიან და სამუშაო ვაგონების მოძრაობაც დაიწყება.

✦ **საქართველოს საეგზარხოსოს დროებით მმართველმა** ბაქოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა ორშაბათს, 14 ოქტომბერს, მამადავითის ტაძარი დაწვრილებით დაათვალიერა. ყოვლად სამღვდელოს დიდად მოეწონა როგორც ტაძარი, ისე ადგილ-მდებარეობა.

✦ **მეფის მოადგილის გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის დახვედრა.** გუშინ ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა ქალაქის საბჭოს ხმოსნებს ბარათები დაუგზავნა, რომლითაც სთხოვს, დღეს, ნაშუადღევის 5 საათზე, სასახლის წინ შეიკრიბნენ მეფის მოადგილის დასახვედრად.

✦ კავკასიის საუფლისწულო. მამულების ინსპექტორად ახლად დანიშნული ბ-ნი პურგოლდი ტფილისს ჩამოვიდა

✦ **ჟურნალი „მოსავალი".** რედაქციამ მიიღო სამეურნეო ჟურნალის „მოსავალი"-ს ივლისისა, აგვისტოსი და სექტემბრის ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია მრავალი საყურადღებო ცნობა და წერილები: ვ. რცხილაძისა, პ. მელიასი, გ. ნახუცრიშვილისა და სხვებისა.

✦ **საფუთო გადასახადი.** მოკლე ხანში მეფის მოადგილის კანცელარია შუამდგომლობას აღძრავს, რათა ქალაქ ტფილისის სასარგებლოდ საფუთო გადასახადი დაწესდეს ქალაქში რკინის გზით შემოტანილ და გატანილ საქონელზე. ამის გამო კანცელარიამ ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა, აცნობოს დაწვრილებით, თუ რა აზრისა არის ამ საკითხის შესახებ ტფ. საბირჟო კომიტეტი.

✦ **ტფ. „კრუჟოკ"-ი** 15 ოქტომბერს უკვე გადავიდა ახალ შენობაში, რომელიც ახლა აგეს.

✦ **პოლიციის შესანახ ხარჯიდან განთავისუფლება.** 1914 წლის 1 იანვარს ძალაში შევა ახალი კანონი, რომლითაც ქალაქები განთავისუფლდებიან პოლიციის შესანახ ხარჯების ნახევრიდან და ამ ნახევარს ხაზინა იკისრებს. ამის გამო გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა, სჩქაროდ წარუდგინოს მას სამინისტროში გასაგზავნად ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი დაეხარჯა ქალაქს უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში პოლიციის შენახვაზე.

✦ **ბათომის ქალაქის მოურავი** თ-დი ი. ზ. ანდრონიკაშვილი ტფილისს ჩამოვიდა.

✦ **გუბერნატორმა ნება დართო** ანტონინა სახაროვსას, გამართოს გორში წარმოდგენა გორის სავაჟო გიმნაზიის მშობელთა წრის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

✦ **ხილისა და ბოსტნეულის მეორე გამოფენა-ბაზარი** დღეს დაიხურება. დღესვე მოხდება ექსპონატების გაყიდვა.

საექსპერტო კომისიამ უკვე დაასრულა და ჯილდოები მიაკუთვნა: 1) **უმაღლესი ჯილდო** (ტფ. თავადაზნაურობის ვერცხლის ბაცია)—ს. ს. ხეთაგუროვს, 2) **საპატიო დიპლომი:** ი. ს. ფურცელაძეს (პრემია: წამლის მესასხურებელი „პომონი"); 3) **დიპლომი ოქროს დიდის მედლის მისაღებად:** ძმ. ავსაოქისოვებსა და ვ. მ. ყაზანჯევს; 4) **დიპლომი ოქროს პატარა მედლის მისაღებად:** კეცხოველს (პრემია; 75 მან. და ბაღში სახმარებელი იარაღები 15 მანეთისა); თ-დს დ. ს. ციციშვილს (პრემია: ბაღში სახმარებელი იარაღები); ა. ზ. ზაბალოვს და სორვერ-ბეგ ათაბეგ კობლიანსკის. 5) **დიპლომი ვერცხლის დიდი მედლის მისაღებად:** საამშენის ამხანაგობას (პრემია: 100 მან. და ბაღის გუთანი); ა. ა. ქარუმიძეს (პრემია: ბაღში სახმარებელი იარაღი „კლიმაქსი"); მ. მ. დუმბაძეს, გ. მ. ჩივაძეს, გ. ი. სტრუპნიკოვს, ძმებს სიძოხიანცებს, ქუთაისის საცდო კომიტეტს (პრემია: ბაღში სახმარებელი იარაღები) და ხ. ძ. შახსუვარიანს; 6) **ვერცხლის პატარა მედლები:** ი. რ. მატბერიშვილს (პრემია: აპარატი „ვერმორელისა"), ს. ხ. ოვანოვს, ა. ა. კალატოზიშვილს, თ-დ მ. რ. ერისთავს, თ-დს კ. დ. ერისთავს, გუსტავ მიკსონს, ა. ა. ქანანიანცს, ი. ტ. ბუდიენკოს (პრემია: 25 მ.), დ. ბაბაევს (პრემია: 25 მან.) და თ-დს ვ. მ. მაჩაბელს; 7) **ბრინჯაოს მედლები:** ნ. დ. ამილახვარს, ხ. დ. ჯავახიშვილს (პრემია: ბაღში სახმარებელი იარაღები), კ. აბდუშელიშვილს, რ. ფილიიდანოვს (პრემია: აპარატი ვერმოლერისა), ს. მ. ადელხანოვს, თ-დს გ. ნ. ვეზირიშვილს, სტეფანიანცს, ა. ანგელ-შტოკს, გურიის მებაღეთა ამხანაგობას და მ. ქიქინაძეს (პრემია: ბაღში სახმარებელი იარაღი); 8) **ქების ფურცელი:** ა. ს. კარტაშევს, ზ. ი. ხაჩატუროვს, ა. დ. ბოდაგოვს, ს. მ. ხითაროვს, ნ. ა. კასრაძეს (პრემია: ბაღში სახმარებელი იარაღი) და ა. ი. სოროკინს და 9) **მადლობა:** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ნ. ფ. რუდოლფს (საგანგებო მადლობა), ყარაიაზის საცდელ მინდორს, ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლას, კუბის საბაღოსნო სკოლას, ბაქოს საერობო საგრონომიო ორგანიზაციას, ალაიანის ამერიკულ ვაზის სანერგეს, ბ-ნს ზანისს და გვამიჩავას („დოვერიე").

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების** გამგეობის მორიგი კრება დანიშნულია დღეისთვის.

✦ **ქალაქის საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო კომისიის** კრება, რომელიც დანიშნული იყო 15 ოქტომბრისთვის ქალაქის 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისი გამო.

სომეხთა ცხოვრება

✦ გაზ. „ჰორიზონს" ატყობინებენ სტამბოლიდან, რომ 14 ოქტომბერს, იქ სიდამბლით გარდაცვლილა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, „დაშნაკციუთიუნის" პარტიის ერთ-ერთი დამარსებელთაგანი სიმონ ზავარიანი. განსვენებულის დაკრძალვა მოხდება 18 ოქტომბერს ქ. სტამბოლში. სიმონ ზავარიანი სომხის საზოგადო მოღვაწეთა რიცხვში ითვლებოდა როგორც გულწრფელი და იდეალისტი საზოგადო მოღვაწე. იგი დაიბადა ლორის მაზრის სოფელ აიგეპატში 1867 წ. საშუალო სწავლა მიიღო ტფილისის რეალურ სასწავლებელში, ხოლო უმაღლესი განათლება პეტროვსკის აკადემიაში. განსვენებული დიდხანს მსახურობდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში. ხალხიდან გამოსული, იგი ემსახურებოდა ხალხს და მისი მოღვაწეობის ასპარეზი თვით ხალხშივე იყო. აღზრდილი 70 წლების საუკეთესო იდეალებით, სიმონ ზავარიანი სცხოვრობდა მხოლოდ სხვისათვის და მივიწყებული ჰქონდა თვისი საკუთარი ცხოვრება. „დაშნაკციუთიუნის" პროცესის წინ, როდესაც ოსმალეთში კონსტიტუციონალური რეჟიმი დამყარდა, იგი ოსმალეთს გადავიდა და დღემდე ოსმალეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

✦ გუშინდლიდან გაიხსნა სომეხთა საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოფენა, სადაც მსურველი ნახავს სომხურ პერიოდულ ყველა გამოცემის ნიმუშებს და მათ რედაქტორების სურათებს. გამოფენა მოთავსებულია სომეხთა საეთნოგრაფიო საზოგადოების სადგომში, აბას-აბადის შესახვევში. გუშინ საღამოს საზოგადოების სადგომში წაკითხულ იქმნა ორი ლექცია სომხურ ანბანის და ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობაზე, და აგრეთვე კავკასიის სომხურ პრესის შესახებ.

სოხუმი.

✦ დეპუტატი ა. ჩხენკელი ამ ჟამად სოხუმშია. დეპუტატი „იშიას"-ით (საჯდომის ნერვის ანთება) გამხდარა ავად.

დღიური

დიდი საქმეები.

ერთის ახლობელისაგან წერილი მივიღე, რომლის შინაარსიც საზოგადოებრივს ინტერესს არაა მოკლებული, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია მკითხველებს გავუზიარო.

„მეგობარო, მწერს ძმად ნაფიცი: ნება მომეცი, ორიოდე სიტყვა გითხრა იმ ნაცნობ ვექილის შესახებ, რომლის აზრები ამას წინად გაგვაცანი. პირველი არაა პატარა საქმეების ქადაგება ჩვენს საზოგადოებაში; წინადაც მოგვისმენია მოწოდება, რომ ზეცისკენ ნუ მივიწევთ, დავუახლოვდეთ დედ-მიწას, რომელმაც გვშობა და რომელზედაც მხოლოდ ვპოვებთ კეთილდღეობას. მართალია, ახლა თითქოს უკეთესი ნიადაგი აქვს ამგვარი მოძღვრების გავრცელებას ჩვენში, ამის მომხრე დღეს მეტია და უფრო თამამად მოქმედებენ, მაგრამ პრაქტიკული პოლიტიკის მიმდევარი ყოველთვის ბევრი გვყავდა.

ვექილი დიდი რეალისტია, სინამდვილის თაყვანისმცემელი და ქვეყნის უბედურებად მიაჩნია, რომ ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია და ხალხი აგრე გატაცებულია იდეალებით და საოცნებო საქმეებით. [illegible] არ უნდა, ერი ჰაერში ვერ იცხოვრებს და სიმშილს სიტყვით ვერ მოიკლავს, წყვდიადს ოცნებით ვერ გაჰკვეთს და ჭირსა და ვარამს თავს სიმღერით ვერ დააღწევს. ცეცხლი რომ რასმე ეკიდება, სეტყვა რომ ნათესს გაანადგურებს, მტერი რომ მამულს აიკლებს და ქალებსა და ვაჟებს ამოჟლეტს, ეს ნამდვილი მოვლენაა, რომელსაც სინამდვილის იარაღითვე უნდა შევებრძოლოთ. კარგად ვიცით, რომ ცეცხლი სულის შებერვით არ დაცხრება, მკვდარი შელოცვით არ აღსდგება და აწიოკებული აოხრებული ქვეყანა მწარე გოდებით არც იმედიანის ლექსით არ აყვავდება.

ისე გულუბრყვილონი არა ვართ, რომ ეს არ გვესმოდეს. მხოლოდ გვიკვირს და ვერ შეგვისმენია: ჩვენი რეალისტები, პრაქტიკული პოლიტიკის მქადაგებელნი ჩვენ რომ ასე დაჟინებით გვიკიჟინებენ ოცნებით დაბრმავებას, სწორი გზის დატოვებას და გამოუსადეგარი საშუალებით ბრძოლას, თვითონ როდის, თვითონ რატომ არ ჩაუკვირდებიან თავის მოღვაწეობას, რატომ არ გასწვრეტენ თავის პოლიტიკის შედეგებს, რატომ არ ხედავენ, რომ, თუ ჩვენ ვითომც ძალზე მარცხნივ მივიწევთ და ამის მიზეზით უსარგებლოდ, უმიზნოდ ვმუშავობთ, თვითონ ისინი თავის გადაჭარბებულის მემარჯვენეობით, აზიურ პოლიტიკოსობით, გადაჭარბებული თავდაჭერით და სიფრთხილით უზომოდ დაშორებულნი არიან სინამდვილეს, მათი მოღვაწეობა უფრო უსარგებლოა, გეგმა საქმის შეუფერებელი და შრომა მიზნის შეუწონელი.

ჩვენი რეალისტები, პრაქტიკული მუშაობის მიმდევრები ასეთი არიან მარტო სიტყვით. ნამდვილად კი მათი საქმე იმდენად გადახრილია ცალმხრივ, იმდენად დაშინებულია, იმდენად დაბრმავებულია პრაქტიკულობით, რომ სრულიად უნაყოფოა სინამდვილეში, თუ ხშირად მავნებელიც არაა. ვინც ამდენს ლაპარაკობს პრაქტიკულს, რეალურ მოღვაწეობაზე, მოკლებულია უბრალო უნარს, პრაქტიკულად შეხედოს საკითხს: რა ნაყოფი მოაქვს ნამდვილად მის პოლიტიკას, საქმეს, მუშაობას? რეალისტებს ხომ სიტყვა, იდეალი არ აინტერესებთ, არამედ საქმე. მერე სად არის მათი ნასაქმი? სად არის პრაქტიკული შედეგი მათის პრაქტიკისა? რა პოლიტიკური სიკეთე მოიტანა მათმა პოლიტიკამ?

ეს არის ფორმალური მხარე საგნისა, რომლის გარკვევა აუცილებლივ საჭიროა ზემოდ დასახელებული დავის გადასაწყვეტად.

მაგრამ ჩვენი აგრეწოდებული რეალისტები შემცდარნი არიან არსებითად. ცხოვრებაში უნდა იბრძოლოთ სინამდვილის იარაღებითო, გვეუბნებიან. უკვე ვსთქვი, რომ კარგად გვესმის, რასაც ნიშნავს სინამდვილე. მაგრამ სრულებით არ შემოგვიფარგლავს სინამდვილე ისე ვიწროდ, როგორც სჩვევიათ ჩვენს მოწინააღმდეგეებს. გუთანი, მანქანა და სხვა ყოველივე მატერიალური იარაღი, ცოდნა, გამოცდილება — ეს იმდენადაა სინამდვილის საშუალება, რამდენად მას ხელს შეახებს, შეიგუებს, გამოიყენებს ადამიანის სულიერი ძალა. ბოლოს და ბოლოს ერთად-ერთი ნამდვილი იარაღი, ნამდვილი საშუალება ცხოვრების ბრძოლაში გასამარჯვებლად ჩვენი შემოქმედი, ცხოველი სულია. უფრო მძლავრი ნამდვილი ძალა ეს სულიერი ნიჭია და არა ათასნაირი მკვდარი სახსარი. შეურყეველის რწმენით გამსჭვალული ადამიანი უფრო დიდი სინამდვილეა, ვიდრე ანთებული კოცონი, რომელიც მის დასატანჯავად განუმზადებიათ. ქეთევან დედოფალი უფრო ძლიერია, ვიდრე შაჰაბაზი, და იგი წამებული, მოკლული—გამარჯვებულია და მისი მკვლელი კი დამარცხებულია. სამასი სპარტელი, მამულის ოცნებისთვის თავდადებული, კაცობრიობისთვის უფრო ძვირფასია და ბევრის გამკეთებელი, ვიდრე ასი ათასი და მილიონი „პრაქტიკული მოღვაწე".

რამდენადაც გაუტეხელია ერის სული, აღფრთოვანებულია, გამსჭვალულია მაღალის დიადის რწმენებით, იმდენად ერი აღჭურვილია უძლიერესის საბრძოლველ იარაღით, იმდენად მომზადებულია ცხოვრებაში გასამარჯვებლად. ადამიანის სიდიადე განიზომება იმ საქმეების სიდიადით, რომელთაც მიუზიდავთ მისი გონება და გული. ჩვენ თუ ბევრს ვოცნებობთ სამოთხეზე, თუ გული გვიძგერს იდეალურ ცხოვრებისათვის, თუ სული ესწრაფვის ხვალინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის თავისუფლებას, სამართლიანობას, ეს კი არ ასუსტებს ჩვენს ეროვნულს თვითარსებობას და შემოქმედებას, პირიქით, აძლიერებს, აღრმავებს. სასაყვედურო და გასაკიცხი არაა ეს თვისება ჩვენის ბუნებისა. უნდა ვისურვოთ, რომ იგი უფრო და უფრო მტკიცე იყოს და შეგნებული. არ ვმალავ, ხშირად ჩვენი იდეალისტობა, გატაცება სალონებო ზრახვებით სასაცილო ხასიათს იღებს და ჩვენ ვემზგავსებით დონკიხოტს. მაგრამ რაც უნდა სასაცილო იყოს დონკიხოტი, ის მაინც უფრო დიდებული და საყვარელი არაა, ვიდრე პრაქტიკი და რეალისტი სანჩო-პანჩო?

არა, ნურავინ ურჩევს ჩვენს ერს იდეალისტური სულის დათრგუნვას. მერწმუნეთ, პატარა საქმეებიც უფრო ადვილად გაკეთდება მაშინ, როდესაც ძლიერია სიყვარული და მისწრაფება დიდ საქმეებისადმი!“...

სიტყვა.

მუშები და ჩვენი ეკონომიკა

ჯერ-ჯერობით ნამდვილი სტატისტიკური ცნობა არ მოიპოვება ჩვენში მუშების რაოდენობის შესატყობად, ვამბობთ მხოლოდ: ჩვენში ბევრია მუშა. ბატონ-ყმური წყობილება დაინგრა, ყმები განთავისუფლდნენ, მათი მიწა-ადგილი ხაზინამ და მემამულემ წაიღო, ხოლო ეს ყმები პროლეტარებად გადაიქცნენ. ნამდვილად კი, ეს ხალხი კიდევ არ შეადგენს მუშათა კლასს, პროლეტარიატს, იგინი მხოლოდ უმამულო ხალხია, ღარიბები, ბოგანოები.

ბატონ-ყმური წესების მოსპობა კაპიტალიზმით ავხსენით; კაპიტალიზმი კი ჰგულისხმობს პროლეტარიატს. აქედან მთელი ეს ღარიბ ღატაკი ხალხი პროლეტარებად მოვნათლეთ. კეთილი და პატიოსანი! მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ხალხი, ნამდვილი პროლეტარიატი, ჩვენში მეტად მცირეა და უმნიშვნელო რიცხვს წარმოადგენს. პროლეტარიატი ცხოვრებით დაინტერესებული ადამიანია, მისი გრძნობა განვითარებულია, გონება გაშლილი, აზროვნობის უნარი მჭიფე. იგი ნამდვილი კრიტიკულად მოაზრე. ცხოვრების ყოველ მსვლელობას იგი გაფაციცებით უგდებს ყურს, ცხოვრების ყოველი ცვლილება მასში გამოძახილს პოულობს, იგი მთელი თავისი არსებით ჩაკრილია ცხოვრების დუღილში და ამა თუ იმ ფორმაში აყალიბებს ცხოვრების სახეს. პროლეტარიატი შემომქმედია არა მარტო ნივთიერ ღირებულებათა, არამედ ნამდვილი კულტურისაც.

აიღეთ ეს ჭეშმარიტი საზომი პროლეტარიატისა და მიუყენეთ იგი ქართველ პროლეტარიატს. ქართველი მუშის უმეტესობა სრულიად გონება მიყუჩებული ადამიანია. ბაქოში მაგ. მრეწველობის ამ სამეფოში, ქართველი მუშები მეტად არასასურველ შთაბეჭდილებას ახდენენ. აქაური მუშების უმეტესობა არ კითხულობს არც ქართულსა და არც რუსულს გაზეთს. პოლიტიკა სრულიად არ აინტერესებს; კაპიტალს ისე უყურებს, როგორც მარჩენალ მამას. ცხოვრების ცვლილების ეშინია მას, მოძრაობას გაურბის, ხშირად შტრეიკბრეხერობს კიდეც. საქართველოდან მოსულს, გამოუცდია საშინელი სივიწროვე სამშობლოში და ერთხელ და უკანასკნელად გულში ჩასჭედია: იშრომოს, რა პირობებშიაც მოუხდება შრომა, დაკმაყოფილდეს მცირე ხელფასით და თავის ცოლ-შვილის გარედ თვალი არ გაახილოს, მოითმინოს ყოველივე, შეეგუოს ყველაფერს.

ასეთი მდგომარეობაა შიდა საქართველოშიც. მსხვილი სამრეწველო დაწესებულება ჩვენში სრულიად არ არსებობს. მსხვილ ქარხნების ირგვლივ შემოკრებილი მასა არ არსებობს, რომ მასობრივმა ცხოვრებამ დაბადოს კლასობრივი ოპტიმიზმი და გაათვითცნობიეროს მუშები, იმედის შუქი მოჰფინოს მათ გულს, რომ მით საზოგადოებრივი ცხოვრება სათანადოდ გაჩაღდეს. აქა-იქ არსებული წვრილი წარმოება მუშების მცირე რიცხვს ამუშავებს, ეს წარმოება არაა მრავალი, რომ მით მუშათა დიდი ძალა იყოს გამოყენებული. მეურნეობაში პარცელიარულმა საკუთრებამ შეუძლებელი გახადა მამულის კაპიტალისტური მობილიზაცია, რომ იქ სათანადოდ განვითარებულიყო სამრეწველო მუშაობა. ხელოსნობა და შინა-მრეწველობა რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების მეტოქეობით ერთიანად განადგურებულია. ხოლო იქ, სადაც მრეწველობა და მეურნეობა განუვითარებელია—ცხადია, ვაჭრობაც და აღებმიცემობაც უძლურია. ამ რიგად ჩვენი ეკონომიური ცხოვრება ერთიანად ვიწრო ფარგალში მომწყვდეული. შრომის ასპარეზი არაა გახსნილი. გაჭირვება-სიღარიბე დიდია, მისი დამაკმაყოფილებელი წარმოება კი მცირე. ამიტომ მუშათა ძალის მიწოდება მეტია, ვიდრე მოთხოვნილება. ამიტომ წვრილ საწარმოვო დაწესებულებებს მუშა ხალხი ბლომად ეხვევა. იგინი განუვითარებელნი არიან და თავიანთი ძალის მიწოდებით მეტოქეობას უწევენ წარმოებაში მდგომ მუშებს. ამნაირად მეტის-მეტად ეცემა მუშის ხელფასი. ასეთ პირობებში მეტია პოლიტიკურ და პროფესიონალურ ბრძოლის წარმოებაზე ლაპარაკი, იგი მეტად გაძნელებულია.

ცხადია, ასეთი მდგომარეობა მეტის-მეტად აუტანელი, სავალალო და თან რთულია. ქართველმა პროლეტარიატმა კარგად უნდა გაითვალისწინოს ჩვენი ცხოვრების სინამდვილე და ნამდვილი ღონისძიება მიიღოს, რათა თვისი ცხოვრება ნორმალურ პირობებში ჩააყენოს. ვიკითხოთ: რათაა აგრე დაკნინებული და ვიწრო კალაპოტში ჩაყენებული ჩვენი ცხოვრება?

დღევანდლამდე ქართველ მუშებში გავრცელებულია შემდეგი შეხედულება: საქართველოს ცხოვრების დაკნინება გამოწვეულია იმ პოლიტიკური წესწყობილებით, რომელსაც სათავეში უდგას რუსეთის მსხვილი მემამულეები და კაპიტალისტები. ეს მემამულე-კაპიტალისტები თავიანთ უფლებით იცავენ მხოლოდ თავიანთ ინტერესებს, გადასახადებს ხალხს ადებენ თავზე, მიწას თვითონ ისაკუთრებენ, ცხოვრებას აძვირებენ, ფულებს გასაქანს არ აძლევენ, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებას ახშობენ. მოქალაქობრივი წესწყობილება არ მყარდება და უამისოდ შეუძლებელია ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრების აღდგენაო. უეჭველია, მოქალაქობრივ წყობილებას ეკონომიური ცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ამას მარტო დასილები კი არა, აღიარებს ფინანსთა მინისტრი—კოკოვცევიც (ვგულისხმობ ნ.-ნოვგოროდის იარმუკაზე ნათქვამ სიტყვას) და აგრეთვე ყველა ვაჭარ-მრეწველი. მაგრამ თქვენ ისიც უნდა დაინახოთ, რაც ხსენებულ წეს-წყობილების ჩარჩოშიაც კი ხდება, მაგ., რუსეთში ეკონომიურ ცხოვრების განვითარება. რა თქმა უნდა, ამ განვითარებას მტკიცე ხასიათი არა აქვს, მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც, აგერ მეოთხე წელიწადი მიდის, რაც რუსეთის ეკონომიური ცხოვრება იზრდება და ზოგიერთი დარგი მრეწველობისა ისე განვითარდა, რომ მოლოდინსაც კი გადააჭარბა. საერთოდ კი კაპიტალი რუსეთში დიდს ტრიალშია, წარმოება დუღილშია და შიგ ჩაკრილია აუარებელი მუშა. ამ ჟამად, რუსეთში მუშა-მოსამსახურეების დიდი მოთხოვნილებაა, რასაც მუშა ხელის მიწოდება სრულიად ვერ აკმაყოფილებს. ამ ნაირად, იქ შრომას ასპარეზი აქვს გახსნილი, ხელფასი მაღლა მიდის, მუშათა ინტერესების შეგნება მუშების წრეებში ღვივდება და ვითარდება კლასობრივი ბრძოლა. ჩვენში, საქართველოში კი ასე არაა. ცხადია, რომ მდგომარეობა აქ სხვა მხრივაა გართულებული. დავაკვირდეთ და ადვილად გავიგებთ ამ მდგომარეობის მიზეზსაც.

მიუხედავად იმისა, რო რუსეთის ეკონომიური ცხოვრება რამდენადმე აღსდგა, ამ გარემოებამ ჩვენს სამშობლოზე ვერ იქონია სათანადო გავლენა. რისთვის? წარმოება და მრეწველობა მხოლოდ მაშინ ახდენს ერთმანეთზე გავლენას, როდესაც ერთი კუთხის წარმოება დაკავშირებულია მეორე კუთხის წარმოებაზე. მოსკოვის მანუფაქტურული წარმოების მდგომარეობა მეტად დიდ გავლენას ახდენს პოლონეთის მანუფაქტურულ წარმოებაზე. მოსკოვის რაიონის მუშები ერთნაირ ბედს განიცდიან პოლონეთის მუშებთან. საერთო ეკონომიურ ცხოვრების აღდგენამ გააძვირა სათბობი მასალა. აიწია ბაქოს ნავთის ფასმა და ამავე მიზეზმა ასწია, მაგალ. დონის რაიონის ქვა-ნახშირის ფასიც დაეცემა ნავთის ფასი, ნავთის მრეწველობა და დაეცემა ქვა-ნახშირის საქმეც, ლითონის ჩამომსხმელი ქარხნებიც გაჭირვებაში ჩავარდებიან და, საერთოდ, დაკნინდება მთელი ეკონომიური ცხოვრება. საქართველოს ცხოვრების ამ ორიენტრიალიდან ერთიანად გამოტოვებულია. იგი ოაზისია, რომელზედაც ცხოვრების არავითარი ცვლილება სათანადო გავლენას არ ახდენს. რისთვის? იმისთვის, რომ ჩვენი ცხოვრება რუსეთის ცხოვრებასთან არაა დაკავშირებული. იქ დიდი ქარხები და მსხვილი წარმოებაა, აქ კი ასეთი რამ სრულიადაც არ მოიპოვება, საქართველო რომ, ვსთქვათ, უცებ მოისპოს, რუსეთი ყურსაც არ გაანძრევს. რუსეთის ერთი მოუსავლობა რუსეთის მთელ ვაჭრობას საგონებელში ჩააგდებს. შაქრის ლერწმის ცუდი მოსავალი შაქრის ქარხნებს ანადგურებს და საშინელ კრიზისს იწვევს. იქ თვით კაპიტალისტები ცდილობენ სოფლის მეურნეობის განკარგებას. ჩვენში მეურნეობასთან დაკავშირებულია მხოლოდ გლეხისა და ჩარჩის ინტერესი, მრეწველობა ჩვენს მეურნეობაზე სრულიად არაა დაფუძნებული.

რისთვის არაა ჩვენში ეგ მსხვილი მრეწველობა განვითარებული? იგები იმიტომ, რომ ჩვენი ხალხი ზარმაცია, უნიჭო, მოუხერხებელი? არა! ამ გარემოების ახსნა ჩვენი ბუნების გარეშე უნდა ვეძიოთ, სახელდობრ, რუსეთის იმპერიალისტურ აგრესიულ პოლიტიკაში. საჭიროა ამას დიდად დავაკვირდეთ. ჩვენში კაი ხანია კაპიტალიზმს ნიადაგი მოუმზადდა, მაგრამ იგი ვერ ვითარდება. ძველად, როცა ერთი კუთხე მეორე კუთხის გავლენას არ განიცდიდა და ყოველი კუთხე მხოლოდ თავის ძალით ვითარდებოდა, მაშინ რაიმე წარმოების გაჩაღება შესაძლებლად ხდებოდა მხოლოდ მცირე წარმოების კარგად წაყვანით. თუ, მაგ. მეწაღე თავის საქმეს კარგად აწყობდა, იგი აუმჯობესებდა თავის სასტატოს ახალ-ახალ საწარმოვო იარაღებით, ჰქირაობდა დახელოვნებულ მუშასტატებს, წარმოებას აფართოვებდა. შემდეგ ესეც არ იქნებოდა საკმაო, მუშის ძალას ემატებოდა წყლისა, ორთქლისა და ელექტრონის ძალა, შენდებოდა მთელი ქარხანა ფეხსაცმელებისა. ამ რიგად წვრილი წარმოება გადაიქცა მსხვილში. მაგრამ ცხოვრების განვითარებით, კაპიტალიზმის მეტად გაძლიერებით, მდგომარეობა შეიცვალა. მაგ., ქუთაისელ მეწაღეს ყოველი საშუალება დაეკარგა, რომ თავისი სახელოსნო-სასტატო ფეხსაცმელების ქარხანად გადაექცია. რატომ? იმიტომ, რომ ლოძში ფეხსაცმელების აუარებელი ქარხანაა, არსებობს რკინის გზა და ამ გზების საშუალებით მას ძლიერ ადვილად მოაქვს თავისი საქონი ქუთაისში. ლოძელ ძლიერ მექარხნეს, აბა, რა რიგ შეუძლია ქიდილი გაუწიოს ქუთათურმა ღატაკმა ხელოსანმა, იგი ან სრულიად ისპობა ან თუ არსებობს, ნახევრად მშიერ-მწყურვალია. აი ამნაირად შეუძლებელი გახდა ჩვენში სამრეწველოების მთელი რიგის აღდგენა და განვითარება. მაგრამ აქ დასილები გვეტყვიან: როდესაც მრეწველობის ერთი დარგი არ ვითარდება, მაშინ კაპიტალი სხვა მრეწველობის დარგში გადადის, აჩაღებს ახალ წარმოებას და მით ცხოვრებას აახლებსო. ეს ასეა მარტო პოლიტიკურად დამოუკიდებელ ქვეყნებში, იქ, სადაც მრეწველობა უკვე განვითარებულა, ხოლო, სადაც კაპიტალის შემოკრება შეუძლებელი გამხდარა, სადაც სრულიად აღარაა მრეწველობა, იქ კი ახალ სამრეწველო დარგების შექმნა შეუძლებელია. მრეწველობა მრეწველობიდან ვითარდება და არა არარაისაგან. ჩვენში არარაობაა და, ცხადია, არარაობიდან არაფერი არ შეიქნება.

მაგრამ მეტყვით: განა ჩვენში სამრეწველოები და მეტად მსხვილი სამრეწველოებიც არ განვითარდენო? და მაგალითად დაასახელებთ ბაქოს ნავთს, ართვინის—ალავერდის სპილენძს და ჭიათურის შავ-ქვას. მთელს კავკასიაში ეს სამი დარგია, რომელსაც მსხვილი მრეწველობის ხასიათი აქვს. ჭიათურა კიდევ არაა, რომ უნდა, ისეთი. მხოლოდ ნავთსა და სპილენძშია საქმე. სრული ჭეშმარიტებაა, რომ აქ მსხვილი მრეწველობა განვითარდა, მაგრამ ეს გარემოება, პირ-იქით, სავსებით ამართლებს ჩვენს კონცეპციას. დამოუკიდებელი კაპიტალისტური სახელმწიფო მიისწრაფვის ხელში ჩაიგდოს სხვა ქვეყნები და იქ გაასაღოს თავისი საქონი. კოლონიალურ პოლიტიკის საფუძველი სწორედ აქ უნდა ვეძიოთ. მაგ. რუსეთი ასაღებს საქართველოში თავის საქონს, მოგება გააქვს თავის ქვეყანაში. იგი შეუძლებლად ხდის, როგორც ზემოთ დავინახეთ—ჩვენს ქვეყანაში მრეწველობის განვითარებას. მაგრამ აგრესიულ—იმპერიალისტური კაპიტალის ბუნებაა გადავიდეს მეტროპოლიიდან (რუსეთი) კოლონიაში (საქართველო) და, თუ დიდად და მეტად სასარგებლო რამე საქმე აღმოჩნდება, თვითონ გაასაღოს, თუ არა, დაკმაყოფილდეს მით, რომ მეტროპოლიის საქონი ასაღოს კოლონიაში. უცხო კაპიტალს შეეძლო დიდი მოგება აეღო ნივთიდანაც და სპილენძიდანაც. ორივე საქმეს უხვად ეწაფება იგი. და შიგ ერთიანად ბატონდება. 100—200 და ხშირად 300—400 პროც. (როგორც დღეს) იძლევიან ეს სამრეწველოები. ამიტომ აქ უცხოელებიც გაბატონდნენ. ხოლო სხვა დარგებში კი უცხო კაპიტალი არც კი გაჩერდა, იგი საქონის, მეტროპოლიის ფაბრიკანტის რეალიზაციით კმაყოფილდება. ამნაირად დამოკიდებულ, კაპიტალისტურად განუვითარებელ ქვეყნებში მრეწველობა უცხოელების მიერ ჩაღდება ხოლმე მაშინ, როცა იგი აძლევს უცხო ძალას არაჩვეულებრივ სარგებელს. ჩვეულებრივ სარგებლით იგი კაპიტალი არ კმაყოფილდება და ამიტომ სამრეწველოების მთელს რიგს არ ეტანება, კმაყოფილდება მკვიდრთა არსებულ შინა-მრეწველობის ჩაკვლით და მისი გამოყენებით, როგორც საქონის გასასაღებელ ბაზრით. ამრიგად, ჩვენში ეკონომიური ცხოვრება ხელოვნურად შებორკილია, მაგრამ მისი სათანადოდ ამაღლება-განვითარება შეუძლებელია მაშინაც კი, რუსეთში რომ თვით უდემოკრატიულესი წესწყობილება დამყარდეს, რადგან დემოკრატიული წეს-წყობილება კი არ უარყოფს იმპერიალიზმს, არამედ კიდევ უფრო ანვითარებს მას. ამნაირად, კოლონია — საქართველოში რომ მრეწველობა-წარმოება გაჩაღდეს, შრომას ასპარეზი გაეხსნას, მუშების ძალა შესაფერად გამოყენებულ იქმნას და მით მათი ცხოვრება გაუმჯობესდეს, რომ მუშა თავისი ძალის გაქირავების საქმეში ხედავდეს არა კაპიტალის მოწყალებას, არამედ აუცილებელ ვითარებას, კარგად გრძნობდეს სიმწვავეს კაპიტალისტურ ექსპლოატაციისას და მის არსებაში შეგნებულად მკვიდრდებოდეს კლასობრივი შეგნება, ყოველივე ამისათვის საჭიროა თვით ჩვენი ეკონომიური ცხოვრება მოდიოდეს მოძრაობაში, ვითარდებოდეს იგი ისე, როგორც მეზობელ კაპიტალისტურ მხარეს შეეფერება. ამისათვის საჭიროა განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი მზრუნველობა-მფარველობა გაეწიოს მუშათა კლასს, საჭიროა კაპიტალის შემოკრების საქმე არ ისპობოდეს... ასეთ მზრუნველობას სხვა ვინმე ვერ გაუწევს ჩვენს მუშასა და მხარეს. ამ საქმეს მხოლოდ საკუთარი ეკონომიური წყობილება თუ შესძლებს, სადაც უმთავრესად მოექცევა მუშების წარმომადგენელნი, თავის საქმეს თვით უფრო კარგად გაიგებენ და გადასჭრიან.

თ. ღლონტი.

ოსმალეთის სომხეთის რეფორმები

მოკლე დროში სომხეთის რეფორმების საკითხი გადასწყდება. რუსეთმა შეიმუშავა უკვე პროექტი რეფორმისა და შეეცდება მის განხორციელებას. რეფორმების პროექტი შემდეგ ღონისძიებათ ასახელებს:

1) უნდა შეერთდეს ექვსი ვილაეთი, სადაც ეხლა ოსმალეთის სომხეთია, პროვინციად; ამავე დროს უნდა გამოიყოს სომხეთიდან ის ნაწილი ვილაეთებისა, სადაც მუსულმანობა სცხოვრობს.

2) სომხეთის მმართველობის სათავეში იქნება ევროპიელი გენერალ-გუბერნატორი, რომელსაც სულთანი დანიშნავს დიდ სახელმწიფოთა თანხმობით. გენერალ-გუბერნატორი ხუთი წლის ვადით ინიშნება.

3) გენერალ-გუბერნატორს უფლება ეძლევა მიიღოს და დაითხოვოს ყველა მისი ქვემდებარე დაწესებულების მოხელე, სამხედრო თუ საერო.

4) გენერალ-გუბერნატორთან დაარსდება საადმინისტრაციო საბჭო, რომელშიაც შევლენ ვილაეთის უფროსები და ტეხნიკოსები.

5) საკანონმდებლო უფლება მიენიჭება განსაკუთრებულ საკანონმდებლო კრებას, რომელშიაც შევლენ თანაბრად ქრისტიანთა და მაჰმადიანთა წარმომადგენელნი.

6) დაწესდება ახალი შტატი პოლიციისა და ჟანდარმებისა. დიდ მოხელეებად ევროპიელები იქნებიან, ხოლო პატარა ადგილებზე თანასწორი უფლებით დაინიშნებიან მაჰმადიანები და ქრისტიანები.

7) დაარსდება იუსტიციის უწყება და მოარულ მოსამართლეთა ინსტიტუტი.

8) სამხედრო ბეგარას სომეხი დაბადების ადგილას მოიხდის.

9) მაჰმადიანებს და ქრისტიანებს (სომხებს) თანაბარი უფლება ეძლევათ საადმინისტრაციო თანამდებობაზე.

10) სომხური ენა აღიარებულ იქნება ოფიციალურ ენად და თანასწორად ოსმალურისა.

11) რეფორმების განხორციელების თვალ ყურის სადევნებლად ევროპის კონტროლი არსდება.

ამ პროექტს თავისი გრძელი ისტორია აქვს. 1900 წლიდან 1910 წლამდე რუსეთი არც კი ფიქრობდა ოსმალეთის სომხეთის რეფორმების თაობაზე, რადგან საფრთხეს ხედავდა სომხეთის გაძლიერებაში და ეჭვი შექონდა მათ სეპარატისტობაში. 1911 წლიდან გარემოება შეიცვალა და სომხებსაც სხვანაირი თვალით დაუწყეს ცქერა. საქმეს ძლიერ შეუწყო ხელი მეფის მოადგილის მოხსენებებმა, რომელიც სომხებს ყოველთვის დიდ ლოიალურ ხალხად სახავდა. პროექტის შედგენის საბაბი რუსეთს ინგლისმა მისცა, რომელმაც საჭიროდ დაინახა ოსმალეთისთვის წინადადება მიეცა, რომ მას მცირე აზიაში და სომხეთში რეფორმები შემოეღო. რუსეთმა მაშინ შეიმუშავა პროექტი და დიპლომატთა თათბირს წარუდგინა სტამბოლში. პროექტის მოწინააღმდეგედ გამოვიდა სამთა კავშირის სახელმწიფონი, განსაკუთრებით გერმანია. ოსმალეთმაც 1881 წელს შემუშავებული რეფორმების პროექტი წარმოადგინა, რომელიც ახალს არაფერს ამბობდა. დაიწყო ორივე პროექტის განხილვა —რუსეთისა და ოსმალეთის—მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. რუსეთი და გერმანია არსებითად სხვადასხვა აზრისანი იყვნენ პროექტის შესახებ. ამ პროექტის თაობაზე გაიმართა მოლაპარაკება გერმანიასა და რუსეთს შორის და შეთანხმებაც მოხდა. რუსეთს დაევალა: რეფორმების პროექტის შედგენა და დიდ სახელმწიფოებისადმი წარდგენა. ოსმალეთმა კვლავ თავისი პროექტი 1881 წლისა წარმოადგინა. ამ პროექტს ივნისში სტამბოლის კრებაზე სამთა კავშირი უჭერდა მხარს. რუსეთი ახლო მომავალში წარადგენს თავის ზემო-აღნიშნულს პროექტს და მოითხოვს მის განხორციელებას. პროექტის ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეასრულებს სამთა კავშირი თავის დაპირებას და მხარს დაუჭერს რუსეთის პროექტს. (რ. ს.)

მუშათა ცხოვრება

✦ გროდნოში პოლიციამ დაატუსაღა 13 მუშა, რომელთაც პროკლამაციის გავრცელებას აბრალებდნენ. მუშები ატყობინებენ დეპ. ჩხეიძეს: ჩვენ დაგვატუსაღეს 23 სექტემბერს, ხოლო პროკლამაციები 25-ს დაჰყარესო. მუშებს ადმინისტრაციამ უკვე ორი თვე ციხეში ჯდომა გადაუწყვიტა.

✦ უკანონო კრების გამართვისთვის, ბალტიის რკინის გზის ტყეში, გრადონაჩალნიკმა 100 მან. დააჯარიმა 24 მუშა „სკოროხოდის“ ქარხნისა.

✦ „ვულკანის“ ფაბრიკის მუშების გაფიცვა, რომელმაც 12 დღეს გასტანა, დასრულდა. მუშების მოთხოვნილებანი ნაწილობრივ დააკმაყოფილეს. გაფიცული იყო 300 კაცი.

✦ მოსკოვის ქალაქის თავის თანამდებობის აღმსრულებელმა ბრიანსკიმ შუამდგომლობა წარუდგინა გრადონაჩალნიკს ტრამვაის დატუსაღებულ მუშების განთავისუფლებისთვის. ეს მესამე შუამდგომლობაა ბრიანსკისა. ქალაქის მოადგილეს ცნობები შეუკრებია, რომ დატუსაღებულებს გაფიცვასთან კავშირი არა ჰქონიათ და გაფიცვის დღეს მუშაობდნენ, მაგრამ ციხეში კი სხედან. მუშებმა პეტიციით მიმართეს მოსკოვის ქალაქის ტრამვაის გამგეთ და მოითხოვეს მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესობას.

უცხოეთი

საფრანგეთის რადიკალების კონგრესი.

საფრანგეთის რადიკალების კონგრესმა აღნიშნა პროგრამა-მინიმუმი: უმთავრესად საერო სკოლის დაცვასა და შემოსავლის კვალობაზე გადასახადის შემოღებაზე იყო ლაპარაკი. მალვემ გამოაქვეყნა პარტიის დეკლარაცია, სადაც აღნიშნული პუნქტების გარდა სამხედრო რეფორმის თაობაზე არის ლაპარაკი: სამხედრო ბეგარა ორწლიანი უნდა იყვეს აუცილებლათ. დეკლარაციაში ნათქვამია: „ვერც ერთი წევრი პარტიისა, ვერ იუარებს ამ პროგრამასო“. სკოლის საქმის ცალკე სხდომა მოანდომეს. დეპუტატმა ბარმა წინადადება შეიტანა: სადაც მთავრობის საკმაო სკოლებია, კერძო კომუნებს ხეკრძალოთ სკოლების გახსნაო. ცნობილი მოღვაწე სკოლის საქმისა ბუისონი ძლიერ წინააღმდეგი გაუხდა ბარის წინადადებას: თუ თავისუფლების შეზღუდვა გსურდათ, სთქვა ბუისონმა, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა საჭირო არ იყოო. ბოლოს, დიდი კამათის შემდეგ, კონგრესმა მიიღო დეპუტატ ბარის წინადადება.

ეხლა პალატაში ორი ფრაქციაა პარტიისა: რადიკალები და რადიკალ-სოციალისტები. კონგრესმა გადასწყვიტა ორივე ფრაქციის შეერთება და ამასთანავე დაადგინა: ყოველივე სამინისტროს, რომელიც მემარცხენე პარტიებს არ დაეყრდნობა თავის მოქმედების დროს, მხარი არ დაუჭირონ. ეს დადგენილება ბარტუს წინააღმდეგ არის მიმართული, რადგან ბარტუ მემარჯვენე დეპუტატებს დაემყარა სამხედრო ბეგრის კანონის გაყვანის დროს.

ზოგიერთა გაზეთი „ტანი“ ჰკიცხავს პარტიას პუანკარეს წინააღმდეგ გამოსვლისთვის. ჟორესს სასაცილოდ არ ჰყოფნის მინისტრების კონგრესისადმი მილოცვა, რადგან მინისტრებმა უხეირო მოქმედებასა გამო აღარ იციან რა გზას დაადგინენო.

წკიპურტები

ტფილისში დაარსდა ახალი პოლიტიკური პარტია, რომელსაც სახელად ეწოდება: „მარქსის მიმდევარ თავად-აზნაურთა პარტია“. ახალი პარტიის მიზანია ყოველნაირად ხელი შეუწყოს ქართველ გლეხების გაპროლეტარიატებას; ამისათვის პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ქართველ მემამულეთა მიწა-წყალი უცხოელთა ბურჟუაზიას ჩაუგდოს ხელში. ამ გზით პარტია ჰფიქრობს აჩვენოს გლეხობას, თუ რა ძნელია უადგილ-მამულობა. როდესაც გაპროლეტარიატებული გლეხი ამას კარგად შეიგნებს, პარტიის აზრით, იგი უკვე მომზადებულია მედგარ ბრძოლისათვის, რომლითაც უნდა დაიბრუნოს უკან მამულები. პარტიის წევრად მხოლოდ ის თავად-აზნაურნი მიიღებიან, რომელთაც ზედმიწევნით იციან მამულის გაფლანგვის საქმე პრაქტიკულად, ჩვენებურ მემამულეთა და უცხოელ ბურჟუათა შორის შუამავლობა („ნურვინ გაჰრევთ ჩარჩობასა, გესმათ ჩემი ნაუბარი“) თეორიულად და პრაქტიკულად. წევრად ჩაწერა შეიძლება პარტიის ლიდერთან. თუ იგი ბინაზე არ იქნეს, უეჭველად მანთაშევებთან იქნება და მსურველი იქ ნახავს. როგორც ამბობენ, პარტია საოცარი ენერგიით შეუდგა „მოქმედებას“ და ცოტა ხნის განმავლობაში ფრიად „ნაყოფიერი“ გამოდგა. მას უკვე გაუპროლეტარიატებია მთელი სოფელი—„ეტეხის“ გლეხობა.

⁂

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობას რამდენიმე დღის წინად თათბირი ჰქონდა, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ საზოგადოდ ქართველ დახელოვნებულ სპეციალისტებს, მაგრამ ასეთები არ აღმოჩნდნენ. თათბირის განსახილველ საგანს შეადგენდა საკითხი: როგორ მოიგერიონ ქართული წარმოდგენების დროს თეატრის დარბაზში უბილეთო „ბაქარა-ლოტოისტების“ შემოსევა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ თათბირზე გადასწყდა: თეატრის დარბაზის მარჯვენა მხრით ააშენონ პირველი ხარისხის ციხე-გალავნები. ციხე-გალავნებზე ჩაამწკრიონ ოცამდე ტყვიის მფრქვეველი მაქსიმის სისტემისა; გარდა ამისა დაადგინეს, კლუბში მოსიარულეთა ყვირილ ხარხარისაგან თეატრის დარბაზში მყოფთა დასაცავად დარბაზს ჯავშანი შემოარტყან.

⁂

„ღალატის“ დამწერს რუსის გამოჩენილს მსახიობს და დრამატურგს ალექსანდრე სუმბათოვს-იუჟინს, ჩამომავლობით ქართველს, ჰკითხეს:

— ქართული იცით?

— როგორ არა!

— მერე რატომ არასოდეს ქართულად არ ლაპარაკობთ?

— არ მინდა ქართულის ლაპარაკით რუსული გამოთქმა დავიმახინჯო...

ქართველს მსახიობებს, „ღალატის“ გამსახიერებლებს ჰკითხეს:

— რატომაა, რომ ქართული გამოთქმა ასე გეძნელებათ სცენაზე, და რეპეტიციების დროს კი, ოჯახში

და საზოგადოებაში მუდამ რუსულად ლაპარაკობთო?

— ?!...

სამწუხაროდ ვერ გავიგეთ, თუ რა უპასუხეს ქართველმა მსახიობებმა.

ჩვენ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

16 ოქტომბერი.

უცხოეთი.

ოლესუნდი. რეველიდან მიმავალი გემი „ბრატ“ ი დაეჯახა გემ „ოსლო“-ს და ჩასძირა. დაიხრჩო 8 კაცი.

ბერლინი. გუშინ სამ ადგილას დაიმტვრა მატარებელი. პოტსადმის მთავარ სადგურზე მძიმედ დაშავდა სამი, ზაგაუზენის სადგურზე მსუბუქად დაშავდა 6, ხოლო ვუამარის ახლო მძიმედ დაშავდა 6 კაცი.

ლონდონი. სამხრეთ უელსში ქარიშხალის გამო მატარებლების მიმოსვლა შესწყდა. ქარმა მოჰგლიჯა ახლის სახურავები, დააქცია ქვის შენობები. ქარი ადამიანებსაც იტაცებდა ხოლმე.

ქარის მიერ სახურავების მოგლეჯისაგან უელსში მოკვდა ორი კაცი, დაშავებული ბევრია.

სუფრაჟისტებმა ცეცხლი გაუჩინეს ფაბრიკის შენობას, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის ძმას მაკენს ეკუთვნის.

გრეიმ ლიბერალების მიტინგზე ილაპარაკა ირლანდიის ავტონომიის თაობაზე და ასკვიტის აზრს სრულებით მიემხრო. გრეის წარუდგა ასოციაციის დეპუტაცია და ქალებისათვის საარჩევნო უფლების მინიჭების შესახებ იშუამდგომლა. გრეიმ უპასუხა, ეხლა ვერაფერს დაგპირდებით, თუ შემდეგისთვის პარლამენტის შემადგენლობა შეიცვლება ქალთა სასარგებლოდ, მაშინ შეიძლება ახალი ბილის შეტანაო.

დუბლინი. ღამით ქუჩაში ორი ყუმბარა აფეთქდა.

მუშების მეთაურს ლარკინს 7 თვის ციხე მიესაჯა აჯანყებისადმი მოწოდებისთვის.

ბირმინგამი. სუფრაჟისტებმა დასწვეს ფოსტის ყუთი. დაშავდა ფოსტალიონი.

მადრიდი. დატომ ახალი კაბინეტი შეადგინა. გარეშე საქმეთა მინისტრად ლემა დაინიშნა.

სტამბოლი. სომხების ანბანის დღესასწაულის დროს ოსმალელ ჯარისკაცებს და სომხებს შეტაკება მოუვიდათ, ერთი ჯარისკაცი დასჭრეს, ერთიც მოჰკლეს და ერთი პოლიციელიც დასჭრეს.

მიუნხენი, ლანდტაგი რეგენტობის გაუქმების კანონ-პროექტის განხილვას შეუდგა.

ვენა. დღევანდელ სხდომაზე უკრაინელებმა სობსტრუქციო სიტყვები წარმოსთქვეს.

ლისაბონი. ციხეში, სადაც პოლიტიკურები სხედან, იარაღის საწყობი აღმოაჩინეს. ბევრნი გაჩხრიკეს.

რომი. კოკოვცევი კარგად არის; კვირისთვის პარიზში გამგზავრებას აპირებს.

პროვინციაში არჩევნების დროს დიდი არეულობანი ხდება, ხან და ხან იარაღსაც მიმართავენ ხოლმე. დღემდე არჩეულია: 205 სამინისტროს მომხრე 46 რადიკალი, 25 კათოლიკე, 16 კონსტიტუციონალისტ-ოპოზიციონერი, 12 რესპუბლიკელი, 30 სოციალისტი და 18 სოციალ.-რეფორმატორი.

ბერლინი. კრუპის საქმის გარჩევის დროს მეტცენმა, ერთ-ერთი ფირმის გამგემ, განაცხადა, ექციუსმა იცოდა ყველაფერი მოსყიდვის თაობაზეო. სასამართლომ დაადგინა მეტცენი გაჩხრიკოს. მეტცენს გამოართვეს ექციუსისა და ბრანდტის საიდუმლო მიწერ-მოწერა.

ველინგტონი. ახალი ზელანდიის პირველმა მინისტრმა განაცხადა, ინგლისის მთავრობას მოესპოს ორი კრეისერის შესანახი სუბსიდია. შემდეგში ინგლისი ახალშენის ხარჯით ააშენებს სამხედრო გემებს, რომელიც მშვიდობიანობის დროს ახალი ზელანდიის ხელში, იქნება, ხოლო ომის დროს ინგლისს გადაეცემათ.

რუსეთი.

პოლტავა. კოოპერაციების წარმომადგენელთა კრებაზე გადასწყდა საგუბერნიო კავშირის დაარსება და სახორბლე ბეღლების აგება

უფა. ერობამ გადასწყვიტა: 521 ვერსის მანძილზე ტელეფონი გაიყვანოს.

ტომსკი. ალტაის მთაში ამოხეთქა ცეცხლის მფრქვეველმა მთამ.

მოსკოვი. ჩამოვიდა საბერძნეთის დედოფალი.

კიევი. დაიხურა სრულიად რუსეთის გამოფენა. გამოფენის ბიუჯეტი 900,000 მანეთს უდრის, ზარალი კი რამდენიმე ათი ათასს.

პეტერბურგი. დაიჭირეს მე 585 ნომერი გაზ. „ვეჩერნეე ვრემია“-სი სტატიისთვის: „ღმერთი შემწეა“.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ შეიმუშავა კანონით ტრესტებისა და სინდიკატების მოქმედების მოწესრიგების თაობაზე. ჯარიმა. ნებადაურთველ ტრესტებს ათი ათასამდე გადახდება.

შავი ჭირი

ნოვოჩერკასკი. კალაჩში შავმა ჭირმა მოჰკლა ერთი ქალი. ბრესლავლში ფერშალი გარდაიცვალა. არსდება ორი ახალი საექიმო პუნქტი. გრომოსლავკაში შავი ჭირით ავად გახდა 7 კაცი, გარდაიცვალა 5. გაიგზავნა ორი ექიმი, 3 ფერშალი და ორი სანიტარი. ექიმები დაზღვეულია 5 ათას მანეთად, ფერშლები— ათასად.

ბეილისის საქმე.

კიევი. სასამართლო შემდეგ კითხვებს აძლევს იუშჩინსკის გვამის გამჭრელ ექსპერტებს: 1) ყველა ჭრილობა, რომელიც ანდრია იუშჩინსკის გვამს ჰქონდა, სიცოცხლის დროისა არის, თუ არა? 2) ამ ჭრილობებში რომლებია სასიკვდილო, 3) სწორედ რომელი ჭრილობა იყო პირდაპირი მიზეზი იუშჩინსკის სიკვდილისა, 4) პირველი ჭრილობა რომელ ადგილას იყო; თავზე ქუდი ეხურა თუ არა იუშჩინსკის, როცა ჭრილობები მიიღო, ან თუ დაჰკარგა გრძნობა, ან რამდენად ადრე მოხდა ეს, რამდენი დრო გავიდა პირველს ჭრილობასა და სიკვდილს შორის. 5) რა იარაღით არის ჭრილობა — ერთი და იგივეთი, თუ სხვადასხვით, არის თუ არა ეს იარაღები საქმეში, და თუ არის რომელია? 6) იუშჩინსკის სიკვდილი ერთის თუ რამდენიმე პირის ნაძალადევი მოქმედებით არის გამოწვეული, თუ არა და დაახლოვებით რამდენი კაცის საქმეა და რამდენი ხნისა. 7) იტანჯა თუ არა დაჭრის დროს იუშჩინსკი. 8) ჭრილობებმა გამოიწვიეს თუ არა სისხლისაგან დაცლა. 9) ექსპერტების გამოკვლევა იძლევა თუ არა საკმაო საბუთს, რომ მკვლელობა სისხლის საშოვნად იყო მოხდენილი. 10) თუ სისხლი გამოიღეს და მოაგროვეს, რა ადგილებიდან გამოიღეს და ტანი რა მდგომარეობაში ეჭირათ და როგორია სისხლი ვენისა თუ არტერიებისა? 11) იძლევა თუ არა საბუთს ჭრილობების ხასიათი და ჭრილობების მდებარეობა, რომ სისხლი ამ გზით უფრო ადვილი მოსაგროვებელი იყო. 12) დაახლოვებით რამდენი სისხლი გამოადინეს, ან რამდენი სისხლი აღმოჩნდა საცვლებზე და ტანისამოსზე 13) მოწმობს თუ არა ჭრილობების ხასიათი და მათი რიგი, რომ მკვლელობის გეგმაში შედიოდა სისხლის შოვნა. 14) ჭრილობების ხასიათი მოწმობს თუ არა, რომ მკვლელთ ადამიანის ანატომიისა გაეგებოდათ. 15) ხელები სიცოცხლეში შეუკრეს იუშჩინსკის, თუ სიკვდილის შემდეგ. 19) საჭმელის მიღების შემდეგ რამდენი დრო გავიდა იუშჩინსკის სიკვდილამდე 17) გვამი მღვიმეში მიტანილია, თუ არა? თუ მიტანილია, რით მტკიცდება ეს. 18) რა დრო გავიდა იუშჩინსკის სიკვდილის შემდეგ ვიდრე მღვიმეში მიიტანდნენ გვამს, ან იქნება სხვა ღვიმეში მოხდა მკვლელობა 16) როდის გაშეშდა გვამი და როდის თავდება ეს მდგომარეობა. 20) თუ იუშჩინსკის გვამი მღვიმეში გადაიტანეს, გაშეშებული ხომ არ ყოფილა ან იქნებ მის შემდეგ. 21) თუ გვამზე სისხლი იყო, მოპანილი ხომ არ აღმოჩნდა გვამი 22) რა დროს განმავლობაში შრება სისხლი საცვალზე იმ ადგილას, სადაც ჰაერი მოქმედობს და 23) როდის და რა პირობებში შეიძლებოდა იუშჩინსკის ზედა საცმელს თიხისა და სისხლის ლაქა მოსდებოდა, რაც ქიმიურ მიკროსკოპიულ გამოკვლევის საქმეა.

ექსპერტები სათათბიროდ გადიან. დანასკვს ხვალისთვის მოელოდებიან.

ექსპერტების თათბირმა, რომელიც 11 ს. 30 წ. დაიწყო, საღამოს 8 საათამდე შეუწყვეტლად გასტანა. სასამართლოს კრება 16 ოქტომბერს განახლდებოდა.

წერილი რედ. მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ!

საქართველოს ყველა კუთხიდან, რუსეთის ქალაქებიდან და უცხოეთიდანაც მივიღე მოსალოცი დეპეშები და გულითადი სალამი, თავადაზნაურობის და კულტურულ დაწესებულებათა მიერ გამართულ დღესასწაულის დღეს, წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის ოცდაათი წლის არსებობისა გამო. რადგანაც არ შემიძლიან თითოეულ დაწესებულებას, თუ კერძო პირს ცალ-ცალკე მადლობა გამოუცხადო, ამიტომ ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ყველას მადლობა გადაუხადო, როგორც სკოლის ისე ჩემის ხსოვნისა და პატივისცემისათვის.

წინამძღვარიანთ-კარის სკოლის მზრუნველი **ი. ი. წინამძღვრიშვილი.**

P. S. ვთხოვ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ.

ი. წ.

ანგარიში ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზ. სენაკის განყოფილების გამგეობის მიერ ამ წლის 29 ივნისს გამართულ სახალხო სეირნობისა დაბა ახალსენაკში.

შემოსავალი: ბალში შესასვლელი ბილეთებისა 262 მ. 16 კ., ჩაისა 14 მ. 70 კ., ტკბილეულობის კიოსკისა 102 მ. 82 კ., წყლისა და ლუდისა 33 მ. 55 კ., ბედის სუფრისა 70 მ. 50 კ., ბედის ანკესისა 15 მ. 40 კ., ბედის დოლისა 1 მ. 80 კ., ქალაქის შემოწირულება 30 მ., კერძო პირთა შემოწირულება 46 მ.

სულ 576 მ. 93 კ.

ხარჯები: ბალის მოწყობას და მუსიკას 20 მ., შოკოლადები, ბონბონერკები და სხვა 35 მ., აფიშები, ბილეთები, ფარნები და სხვა 16 მ. 90 კ., თოკები, ტომრები, ბაირაღები და სხვა 20 მ. 58 კ, წყალი და ლუდი 20 მ., დურგლებს და მოსამსახურეებს 16 მ., მაშხალები, შუშხუნები და ლენტები 18 მ. 5 კ., ფიცრები 16 მ., საგზაო 5 მან.

სულ 167 მ. 53 კაპ.

წმინდა შემოსავალი სენაკის განყოფილების სასარგებლოდ დარჩა— 409 მ. 40 კ.

საზოგ. სენაკის განყოფ. გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს ყველას, რომელთაც არ დაიშურეს დახმარება პირადი შრომით და ნივთიერი შემწეობით. თუ მოსახერხებელი იქმნა, გამგეობა ყოველ ღონეს იხმარს გაზეთის საშუალებით დაწვრილებით აღნუსხოს ნივთებით, ფულით და პირადი შრომით დამხმარეთა ვინაობა.

საზოგადოების სენაკის განყოფილების თავმჯდომარე **ოლღა ხოფერიასი,** გამგეობის წევრნი: **გიორგი მალნარაძე, ანასტასია ჭკადუასი, მღ. გ. გამზარდია, მიხეილ პ. იაკობიშვილი, ნიკო ჯიჯიხია,** მდივანი **ა. ლორთქიფანიძე.**

რედაქტორი **ა. ჭუმბაძე.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

კბილის ექიმმა

ა. პ. გროდსკისამ

განაახლა ავადმყოფების მიღება: წამლობა, პლომბებისა და ხელოვნური კბილების გაკეთება. სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა სახ. № 1, საგუბერნიო სამმართველოს გვერდით. 1441

ა. კავიტ. ამზადებს **სიმწიფის მოწმობისათვის, სამხედრო სასწავლებელში,** 1 ხარისხის ვოლნოოპრედელიაიუშჩის გამოცდისათვის და საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებისათვის. შეთანხმების მიხედვით **პირობას აძლევს გამოცდის სასურველ შედეგების შესახებ.** ნახვა შეიძლება: დილით 12—1 საათამდე და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახ. № 142 (პიროგოვის ქუჩის კუთხე) 1540

ვპისრულობთ:

თარგმნას სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

კორექტურას ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

შესწორებას დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

გამოცემას წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი,** მუხრანის ქუჩა, „შრომის“ სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონიასი. ტელეფ. 9-25,

ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.

პარიჟის უკანასკნელი ახალი ფასონები
კორსეტებისა
ვენის საკორსეტო [illegible] სახელოსნოში
მ. ა. ლევინი,
ტფილისი, ვერის დიდისა და [illegible] ქუჩის კუთხე. 1168

ექიმ ნავასარდიანის

პირველი კერძო

სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“ და „914“

11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.

ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საზებით, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საზ. და ქირურგ.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საზებით და ქალების ავადმყ.

ა. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რიგდა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

ემილ ზოლას

„მაღაროებში მომუშავენი“

(ქვა-ნახშირის მთხრელები)

ივ. გ. ავალიშვილის ნათარგმნი.

წიგნის ფასი 85 კაპ. 1519

მივიღეთ საყინულე-მატარებლით პეტერბურგიდან

თევზის მრეწველნი **ძმ. ძევგელოვები.**

ამურის **წითელი ხიზილალა** |კეტოვი|, **სიგი,** დვინის **ორაგული, გრუზდი, ბრუსნიკა** და სხვ.

აგრეთვე იყიდება მაილოვის ხიზილალა

კოლოფით ტ ხმელი სოკო.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712. 1500

დაიწყო ბეჭდვა და მიიღება ხელის მოწერა შოთა რუსთველის

„ვეფხის ტყაოსანზე“

ეს წიგნი იქნება მე-21-ე გამოცემა იუსტინე აბულაძის რედაქტორობით. წიგნს, წინასიტყვაობის სახით, თავში დაერთვის ვრცელი გამოკვლევა და ბოლოში ვრცელივე ლექსიკონი. ტექსტი შემოწმებული იქნება საუკეთესო ხელნაწერებზე და დართული ექნება საჭირო ვარიანტებიც. რედაქცია ეცდება წიგნმა დააკმაყოფილოს, როგორც მეცნიერული ინტერესი, ისე პრაქტიკული საჭიროებაც და მიაწოდოს საზოგადოებასა და სკოლებს საუკეთესო სახელმძღვანელო, ჩვენის სათაყვანებელი მგოსნის შესასწავლად.

წიგნი იბეჭდება ორ-ნაირად: 1) ჩვეულებრივ ქაღალდზე უყდოდ და ეღირება 1 მან. და 2) ძვირფასს ქაღალდზე ძვირფასი ყდით—2 მანეთად.

ვინც კეთილ ინებებს და 10 კვიტანციას გაგვიყიდის, იმას ერთი წიგნი, კარგს ქაღალდზე, ძვირფასი ყდით, საჩუქრად მიერთმევა.

იმ დაწესებულებათა და კერძო პირთაც, ვინც მოისურვებს კომისიონერობას, და 10-ზე მეტს გაგვისაღებს, მას მიეცემა მანეთზე 15 კაპ.

ხელის მოწერა გაგრძელდება 25 ოქტომბრამდი, წიგნები დაურიგდება აგენტებს ხელის მომწერლებისათვის დასარიგებლად 1 იანვრისთვის.

ამასთანავე საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ წიგნი იბეჭდება განსაზღვრული რიცხვით და თუ გადარჩა ხელის მოწერის შემდეგ თავისუფალ ეგზემპლიართა რიცხვი, იმ შემთხვევაში მანეთიანს მიემატება **ათი შაური** და ორ მანეთიანს **ერთი მანეთი.**

მისამართი: Тифлисъ— Авлабаръ, Кабгеловская № 29. Ю. Абуладзе 149.

1523

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„ვ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:

ჭავჭავაძე ი ა ისტორია!	35 კ.
ჭყონია. ისტორიული ნარკვევი	1—50 ,,
ჭიჭინაძე ზ. ისტორია ქართ. ჟურნ.-გაზეთებისა	15 „
— კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში	50 ,,
— ,, ,, ბათომში	10 ,,
— კათოლიკეთა ეპისკოპოსის მობრძანება საქართველოში	10 ,,
— მესხეთ-ჯავახეთის გათათრება	10 ,,
— სოლომონ ლეონიძე	10 ,,
— ქართ. კათოლიკეთა სასულ. მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობა	25 ,,
— ქართვ. კათოლიკეთა ვაჭრობა.	30 ,,
— ქართვ. კათოლ. ყველა ასპარეზზე	25 ,,
— ქართული სტამბა	10 ,,
— საქართველოს ცხოვრება	1 მ.—
— მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში	60 ,,
— ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი	50 ,,
ახალი წიგნები:	
ერის სულის მეფე, ლეგენდა, რუხაძე	5 ,,
ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება	25 ,,
ყოველის მხრიდან, ლომაურისა	10 ,,
გენეალოგია დიდი ალექსანდრე მეფისა	30 ,,
საქართველოს გმირი გიორგი სააკაძე	80 ,,
Списокъ пьесъ на груз. языкѣ разрѣшенныхъ къ представленію	40 ,,

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1913

მთელს დედა-მიწაზე საუკეთესო

გრამო-ფონებს

„იაკორ“-ს

ქარხნის საფაბრიკო მაღაზია გრამოფონებისა

გ. ს. დავიდოვისა.

ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა შეიძლება.

გოლოვინის პროსპექ., № 6, საკრებულოს ქვეშ.

1531

ამერიკულ ვაზის სანერგე

კლო-ქგურული

ქუთაისში.

ერთად-ერთია, რომელიც სხვა და სხვა ნიადაგზე და სხვა და სხვა ძირზე იმყნება. 1913—14 წ. გვაქვს გასაყიდად 35,000 წოლიკაური, 4,000 კრახუნა. 22,000 ციცქა, 12,000 ანდასაული, 10,000 მწვანე, 32,000 რქა-წითელი, 35,000 საფერავი, 12,000 გალობიშავი, 8,000 ოცხანაური, 25,000 ალიგოტე, 8,000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიენი, 42,000 კაბერნე, 20,000 პოლ-ბლანში, 15,000 გრანნუარი, 28,000 განე თეთრი და შავი და 80,000 მეტი საუკეთესო ჯიშის ნამყენი **რუპერსის** დიულო 3309, 101, 14, 1202 და 420 A—65 მან. 1,000 ცალი სალვინე ჯიშისა და 80 მან. 1,000 სამეფო ჯიშისა.

ადრესი: წერილებისა და დეპეშებისთვის: **კლო-ქგურული, ქუთაისი.** 665